თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7912723

ნომერი: AR11141022

თარიღი : 03.05.2026

გაცემის თარიღი : 11.05.2026

გაცნობის თარიღი : 11.05.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ. N75-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალათინა მამედოვი პ/ნ 01025014928
- თბილისი აკაკი კვანტალიანის ქ. N 86

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

1. წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის დატანით, დეტალური ზომებისა და ნაკვეთში შესასვლელი მითითებით სატრანსპორტო სქემის შესაბამისად.

2. წაროდგენილ იქნას ღობის განშლა ყველა ნაწილში სიმაღლის ნიშნულის დაფიქსირებით.
იმ შემთხვევაში თუ ღობესთან ერთად იგეგმება საყრდენი კედლის მოწყობაც, საჭიროა, დამატებით წარმოდგენილი იქნას ღობისა და საყრდენი კედლის დეტალური აქსონომეტრიული ნახაზები, განშლა და ჭრილი შესაბამისი ზომების, გრუნტში ჩაღრმავების ნიშნულისა და მოცულობის ანგარიშის ჩვენებით (მოცულობა იანგარიშება მიწაში ჩაღრმავების ჩათვლით).

3. საპროექტო მიწის ნაკვეთთან ფიქსირდება თბილისი ენერჯის, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის (N 01.00.238) და შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის"(N 01.01.834) ხაზობრივი ნაგებობები, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობები ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, როგორც წერილობით ისე გრაფიკულად დამოწმებული მასალის (გენ-გეგმის) სახით.

4. წარმოდგენილ იქნას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით, შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან.

5. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.